№ 227. 11 ნოემბერი, პარასკევი. 1866—1883 11 ნოემბერი, პარასკევი. № 227.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

რედაქცია

სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

| | |
|---|---|
| მთელის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა. . . 3 მან. |
| ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა. . . 1 მან. |

ფასი განცხადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია გერ დაუბ უნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

## მიიღება ხელის-მოწერა

მომავალ 1884 წლისათვის გაზეთს

## დროებაზედ

(წელიწადი მეცხრამეტე)

**თბილისში**, «დროების» რედაქციის კანტორაში, სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან.

**ქუთაისში**, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.

**ბათუმში**, წერა-კითხვის სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.

**გორში**, საზოგადოების დეპოში, ალალო თუთაევთან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба».*

ფასი ხელის-მოწერისა:

| | |
|---|---|
| წლით (12 თვით) — — 9 მან. | 6 თვით — — 5 მან. |
| 11 თვით — — 8 მ. და 50 კ. | 5 თვით — — 4 მ. და 50 კ. |
| 10 თვით — — 8 მან. | 4 თვით — — 4 მან. |
| 9 თვით — — 7 მ. და 50 კ. | 3 თვით — — 3 მან. |
| 8 თვით — — 7 მან. | 2 თვით — — 2 მან. |
| 7 თვით — — 6 მან. | 1 თვით — — 1 მან. |

სოფლის მასწავლებელთათვის წლით—7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან.

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

9 ნოემბერს.

**პეტერბურგი.** გრაფი მილიუტინი დაინიშნა გენერალური შტაბის საპატიო პრეზიდენტად.

სემევსკი, რომელიც ქალაქის თავის ამხანაგად იქმნა ამორჩეული, შინაურ საქმეთა მინისტრმა დაამტკიცა.

«ჟურნალ დე სან-პეტერბურგ» არღვევს პარიჟის გაზეთის «გოლუა»-ს ცნობას, ვითომც კიევში მუშებს არეულობა მოეხდინოთ.

**ბერლინი.** გუშინ იმპერატორს ჰქონდა სადილი, რომელზედაც მიწვეულნი იყვნენ რუსეთის სამხედრო მინისტრი ვანნოვსკი და სამხედრო ელჩი დოლგორუკი; მინისტრი იმპერატორის მარჯვნივ იჯდა.

**ნიუ-იორკი.** ცნობა მოვიდა, რომ ჩინელებმა ბაკნინგი დასცალეს; ეს ერთად ერთი ქალაქია ტონკინში, რომელიც ჩინელების ჯარს ეპყრა.

**ნოვი-მარგელანი.** ოშში, ფერგანის მაზრაში, მიწის-ძვრამ დააზიანა: ეკლესია, მაზრის უფროსისა და რამდენიმე კერძო პირების სახლი, და ერთი პატარა ქალიც მოკლა.

**სოფია.** ბულგარიის საქმების შესახებ მორიგდენ, და ამის გამო მინისტრებმა გამართეს ბანკეტი, რომელზედაც იონინმა მთავრის ალექსანდრეს სადღეგრძელო დალია.

## შინაური ქრონიკა

ბათუმიდამ გვატყობინებენ შემდეგ ამბავს: ამ დღეებში იქ მისულა ვიცე-დირექტორი ტამოჟნის დეპარტამენტისა, ბ. ზაბუგინი, ტამოჟნის დასათვალიერებლად. ბათუმის ახლო-მახლო მცხოვრებლებს უთხოვნიათ ბ. ზაბუგინისათვის, რომ მათ გაუადვილონ როგორმე ვაჭრობა ბათუმში, თორემ ეხლა პერანგის სამყოფი სამოსელი რომ გვინდოდეს, უთქვამთ იმათ, ან ქუთაისში უნდა წავიდეთ, ან სხვა შორეულ ქალაქშიო, რადგან ორს ნაბიჯზედ მდებარე ბათუმში არ მიგვესვლებაო. ბ. ზაბუგინს ეს თხოვნა ყურადღების ღირსად უცვნია და დაჰპირებია, რომ ყოველს ღონის-ძიებას ვიხმარ, რომ გადაწყვეტილის ფასის სავაჭროს უბაჟოდ გატანა შეგეძლოთ ბათუმიდამაო.

## «დროების» ფელეტონი, 11 ნოემ.

### გამართლდა

(მოთხრობა)

(თარგმანი)

ორთქლით-მავალი, რომლის ვაგონები სავსე იყო მგზავრებით, გაჩერდა №-ის რკინის გზის სტანციაში. აურარებელი ხალხი მიდიოდა და მოდიოდა. ბევრ-გვარ სურათს შეხვდებოდა აქ კაცი: ერთი ისტუმრებდა თავის ნაცნობს, მეორე ოხრავდა და სწუხდა თავის მეგობრის დაშორებას, ზოგი სტიროდა... გლეხებმაც, რომელნიც სადღაც სამუშაოდ მიეშურებოდენ, გვარიანად გადაუსვეს სასმელებს დუქანში,—ერთმანეთს გზას ულოცავდენ, შემდეგ ჩასხდენ ვაგონში და მორთეს სიმღერა, მაგრამ კონდუქტორმა მალე ჩააწყვეტინა ხმა. ამ მგზავრების რიცხვში ერია ერთი ახალგაზდა, ახოვანი, განიერ მხარ-ბეჭიანი, ქერა ახლად ამწვანებული წვერ-ულვაშით ყმაწვილი კაცი. მას ეცვა ძველი, გახეხილი პალტო, ქვეშით წითელი პერანგი, მაღალ-ყელიანი წაღები, განიერი შავი შლიაპის ქვეშ უფრიალებდა გრძელი თმები. ორნი აცილებდენ ამ ყმაწვილ-კაცს: ახალ-გაზდა ქალი და გამხმარი ბერი-კაცი, ვგონებ სასულიერო წოდებისა, რომელსაც ძონძ ტანისამოსში არ ეტყობოდა მთავარი იყო, მღვდელი, თუ დიაკვანი. საკვირველი იყო ამ ბერი-კაცის ქცევა და გამოსალმება— სულ პირს არიდებდა, არ უნდოდა შეეხედნა ყმაწვილ-კაცისთვის. იყიდა ბილეთი, მისცა იგი ქალს და არა ვაჟს, თუმცა კი ვაჟი უფრო ახლო იდგა, და თანაც დაუმატა: «აჰა, მიეცი იმ საძაგელს და კიდევ განუმეორე, რომ არ გამომესალმოს, ჩემი სახე არა ნახოს! მე დამიწყევლია ეგა, და მომიკლია ჩემი ლოცვა-კურთხევა! დახე, შვილის მაგიერ... ვისგანაც იმედი მქონდა... ამ მოხუცების დროს, როდესაც შემწეობას მოველოდი, იმან რა მოიქმედა!!.. არც შენთვის არის საჭირო გამოესალმო, მოვიცადოთ, მანამ ვაგონში ჩაჯდება, რომ არ მოგვატყუოს და მერე პირდა-პირ სახლისკენ გასწი.»... «აჰა, სენია, მამამ გამოგიგზავნა,—უთხრა ქალმა, ყმაწვილს და ბილეთი მიაწოდა. «მამას ჩემს მაგივრად დიდი მადლობა მოახსენე!»—ისეთი სასო-წარკვეთილებით, ჩუმად და ხმის კანკალით წარმოსთქვა ეს სიტყვები ყმაწვილმა, რომ ქალს გულმა დაუწყო ძგერა და თვალებიდგან მსხვილი ცრემლები გადმოსცვივდა. უცებ მაღლის ხმით ტირილი მორთო და მოეხვია ყმაწვილ-კაცს. «სენია, ჩემო ძვირფასო, საყვარელო ძმაო,—ეუბნებოდა ქალი ტირილით: დამშვიდდი, ნუ შფოთავ!... აპატიე მამას,—ხომ იცი მოხუცებულია, არ შეუძლიან შენი გაგება, შენი დაფასება». მოხუცი შუბლ-შეჭმუხვნილი უცქეროდა ამათ, მერე ზიზღით გააფურთხა, მოშორდა და დაიწყო ბუტბუტი; ის ზურგ შექცეული იდგა, მანამ ორთქლით მავალი დაიძროდა. ქალმა ჯიბიდგან ამოიღო დაჭმუჭნული მანეთიანი ქაღალდი:—«აჰა, სენია, დაიჭი, მე ვიცი არაფერი გაქვს... გზაში მოგინდება.» «არ მინდა არა, საჭირო არ არის» და ყმაწვილი ჩაფიქრებული, ღიმილით გაიცქირებოდა შორის გზისკენ. «გუშინ სამუშაოში მომცეს—სალფეტკების კერვაში, აბა, მე რად მინდა?... გამომართვი, მოგინდება»,—სთქვა ესა და ჩუმად პალტოს ჯიბეში ჩაუგდო; ყმაწვილი ისე გაშტერებული იყო, რომ ვერც კი გაიგო. ქალი შესცქეროდა ჩაფიქრებულს ძმას და მდუღარებით ივსებოდა.—«ახლა საით არის შენი გზა? რა საქმეს შეუდგები? რას გააკეთებ?—ჰკითხავდა და, მაგრამ ყმაწვილი ისე გაშტერებული იდგა, რომ თავის დის ლაპარაკი სრულებით არ ესმოდა..., «ეჰ, მშვიდობით, დაო!... დაბრუნდით თქვენ შინისკენ!...» ეს სიტყვები ისე უცებ წამოიძახა ყმაწვილმა, თითქო ღრმა ძილიდგან გამოფხიზლდაო— «ჯერ ხომ დრო არ არის შენი წასვლისა. მამაც არ წავა, მანამ შენ ვაგონში ჩამჯდარს არა განახავს, მანამ არ გაგისტუმრებს. იმას ჰგონია, ვითომ შენ მოატყუებ, არ წახვალ... რა ვქნა, რას დაჩუმებულხარ, რატომ არაფერს მეუბნები? ვხედავ, სენია, რომ ძალიან ნაღვლიანად ხარ... ვგრძნობ ძმაო, დიდი სევდა გაწევს, გული ჩათუთქული გაქვს, მაგრამ... გევედრები, არა აუტეხო-რა შენ თავს, ამაზე მეტად არ დაგვწვა!» ეს სიტყვები ჩხტარივით ეცა ყმაწვილის გულს, იმან დაუწყო თვალებში ცქერა თავის დას. ორთავემ თვალი თვალს გაუყარეს და დიდხანობამდის ვერ მოაშორეს ერთმანეთს. ყმაწვილს ამღვრეულ თვალებში ცრემლები მოსდიოდა. «მშვიდობით, ტატიანა!»—გამოართვა თავის დას გამხმარი, მრავალ-მაშვრალი ხელი და მაგრად მოუჭირა. «მშვიდობით, დაო, შენ ნუ ინაღვლებ ჩემთვის... რასაც მე მოვიქმედებ, ის ჩემთვის კარგი იქნება,—დამამშვიდებს, მადლობელი ვარ შენი; ვხედავ, რომ დიდად გიყვარვარ... მაგრამ ვწუხვარ, რომ შენი წადილი ვერაფერი შევასრულე... მშვიდობით!..» გაათავა-რა ეს სიტყვები, გადაეხვია, დაჰკოცნა და გაექანა საჩქაროდ ვაგონისკენ, და გაჩერდა ვაგონის ფანჯარასთან, გულ-ჩათუთქული იმდურებოდა და მალ-მალ იწმენდავდა ცრემლებით სავსე თვალებს.

აი ჩამოჰკრეს მესამედ ზარი, ორთქლით-მავალი დაიძრა. «მშვიდობით სენია,--შეჰყვირა დამ,—შენ თავს გაუფთხილდი!.. ფული ჯიბეში გაქვს...» კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ტირილით გულ-ამომჯდარს ხმა გაუწყდა. ორთქლით-მავალი თითქმის დაიმალა, რომ ქალი ისევ უგრძნობლად იმავ ალაგას იდგა და თავის

≈ როგორც მკითხველებმა იციან, ამ დღეებში შესრულდა ორმოც-და-ათი წლიწადი, რაც სამხედრო მინისტრად ნამყოფი გრაფი მილიუტინი სამსახურში ირიცხება. ეს მისთვის შესანიშნავი დღე გრაფს ბათუმში გაუტარებია და არა თუ თითონ ბათუმში,—ბათუმის ნავთ-საყუდარში გემზედ, რომ ჩვეულებრივი ოვაციები თავიდამ მოეშორებინა.

≈ სოფ. შილდიდამ (თელავის მაზრა) გვწერენ: «კახეთის სხვა სოფლების მცხოვრებლებზედ ამ სოფლის გლეხობა უფრო მდიდრულად სცხოვრობს. თუმცა ექვსასს კომლ გლეხში ორასს კომლს ერთი კვალის გასავლები სახნავი მიწაც არა აქვს და სალალო მიწებში მუშაობს. ამ მიწების ნაკლულევანების შესახებ მთავარ-მმართებელსაც მისცეს თხოვნა და აქაურ სახელმწიფო მამულების მმართველსაც (აგენტს) სთხოვეს იშუამდგომლოს მთავრობასთან, რომ მიეცეთ მათ სამხრეთ მდებარე თავისუფალი სახელმწიფო მიწები.

შარშან სოფელმა მოისურვა «დეპოს» და ბანკის გახსნა, რომ ცოტა ხელი შეეშალათ აქ, მედუქნეებისათვის; ზოგიერთა მცხოვრებლებისაგან კიდევაც შეჰკრიბეს «დეპოს» დასაარსებლად საჭირო ფული, მაგრამ რადგანაც შემდეგში შილდა ძალიან დაისეტყვა, ფული პატრონებსვე დაუბრუნეს. წელს, ღვთის მადლით, კარგი მოსავალი მოვიდა, როგორც ღვინისა, ეგრეთვე ჭირნახულისაც, და ამ უხვი მოსავლის წყალობით წელს ამ ორი ფრიად სასარგებლო საქმის დაარსება შეიძლება, აქ რომ რიგიანი მოთავე კაცი გამოჩნდებოდეს».

≈ თელავიდგანა გვწერენ: «ამ ღვინობისთვიდგან დაიწყო თელავის მაზრაში სახელმწიფო მამულების იჯარით მიცემა, მაგრამ აქაური მოჭახრაკეები ისე ახერხებენ საქმეს, რომ სოფლელებმა და მამასახლისებმა ჯერაც არ იციან—როდის და რომელი მამული იძლევა იჯარით. მაგალითად, ხუთს ამ თვეს იყალთოს მამასახლისმა «აგენტთან» შეიტანა საჩივარი, რომ მას მაზრის სამმართველოდგან არაფერი ცნობა არა ჰქონია ზემოხოდაშნის მიწებზედ, რომელნიც ოთხს ამ თვეს გაიცა. თელავში ერთის თვის წინად უცხადებენ ამისთანა ამბავს და სოფლელებს კი ან სულ არ უცხადებენ, ან უცხადებენ იმ დღეს, რა დღესაც ვაჭრობაა დანიშნული. აბა, რას მოახერხებს იმავ დღეს გლეხი, თუნდ შინ იყოს და გაიგოს კიდეც».

≈ კახეთიდამა გვწერენ, რომ დადგა შემოდგომა და ქორწილებიც გახშირდაო. სამწუხაროდ, მექორწილეებს შორის ხშირია თურმე უსიამოვნობა საქორწილო ფულის მიცემის თაობაზედ. რა კი მღვდელი სამეფოს არ იცნობს, მამასახლისი აძლევს თურმე მოწმობას—რა შეძლების პატრონიც არის; მაგრამ, რადგანაც მამასახლისები ამ უფლებით ბოროტ-მოქმედობენ, მღვდლებიც მოწმებს აღარას უჯერებენო.

≈ ფოთელები ძალიან გულ-მაგრად არიან: ნავთ-სადგურის გაკეთებას ისე გაუმხნევებია, რომ იწერებიან, ცეცხლმაც არა გვიყო-რა, ეხლავე შევუდექით ჩვენის ქალაქის განახლებასაო. რაც შეეხება მხიარულებას, წრეულს უფრო მხიარულად ვატარებთ დროს ოჯახებში და კლუბებში, ვიდრე კვლავ ვატარებდითო.

≈ «კავკაზი» გვატყობინებს, რომ 8-ს ნოემბერს, დიდი მთავრის მიხეილ ნიკ.-ძის დღეობის გამო, თბილისის თავს მილოცვის დეპეშა მიუწერია მისთვის თბილისის მცხოვრებლების მხრივ.

≈ გაზეთი «მშაკი» გვაცნობებს, რომ ჯავახეთის ახალქალაქისკენ თათრები თურმე ჰყიდიან ყოველსავე უძრავსა და მოძრავს ქონებას და ოსმალეთში გადასახლებას აპირობენ, რადგან სამხედრო სამსახურს ერიდებიანო.

≈ იმავე გაზეთსა სწერენ ართვინიდამ, რომ იქ წრეულს ზეთის-ხილის მოსავალი ძალიან ნაკლები ყოფილა. ართვინიდამ ზეთის-ხილი მოაქვთ ბათუმში, თბილისში და სხვა ქალაქებში, ასე რომ ეს მოუსავლობა ცოტათი მაინც გააძვირებს ჩვენს ქალაქში ამ დიდ-მარხვის სანოვაგეს.

≈ ორშაბათის სხდომაზე თბილისის საბჭომ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება გამგეობისა შესახებ სიფილისით ავად-მყოფებისათვის სამკურნალოს გამართვისა: 1) იშუამდგომლოს გამგეობამ, რომ ქალაქს გარდაეცეს თბილისის მეორე სამხედრო ლაზარეთის ბანაკები, რომელნიც ქალაქის მიწაზედ არიან აშენებულნი და ამ ბანაკებში დროებით გაიხსნას განყოფილება სიფილისით ავად-მყოფებისათვის, და 2) ეთხოვოს იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ამ საქმისათვის შეწირულობით ფულის მოგროვება, განაგრძოს თავისი მოქმედება. ამავე სხდომაზედ საბჭომ ქალაქის სეკრეტრად ამოირჩია ბ. ქანანოვი.

≈ «იურიდიჩესკოე ობოზრენიეს» ატყობინებენ, რომ პირველის იანვრიდამ გაზეთი «თერგი» აღარ გამოვა.

≈ «კავკაზს» აცნობებენ აბას-

---

საყვარელს ძმას გაჰყურებდა. როდესაც უკან მოიხედა, დაინახა, რომ მოხუცებული მამა მიმავალ ვაგონებს პირჯვარსა სწერდა. ქალის დანახვაზედ მან განძრახ ხელების ქნევა დაიწყო, მითომ უნდოდა დაემალა ქალთან თავის გულის პასუხი, თითქო სრულებითაც არ ახსოვდა თავისი ურჩი შვილი. «ახლა შუა ღამემდინ ხომ არ იდგები აქ?.. ხომ გაეისტუმრეთ, მადლობა ღმერთს, რომ მოვიშორეთ ის საძაგელი... წავიდეთ შინ!..» მრისხანედ ეუბნებოდა მოხუცი თავის ქალს.

—

ყმაწვილი თავ-ჩაღუნული იჯდა სკამზედ და ღრმად იყო ჩაფიქრებული.—სადაური ხარ, ყმაწვილო?—ჰკითხა მის გვერდით მჯდომმა გლეხმა.—რად გინდა?.. რას მეკითხები?.. უპასუხა ცივად ყმაწვილმა. არაფრად,—ისე გკითხე. მაინც, რატომ—კარგია კაი კაცთან ლაპარაკი, მერე ჩვენთვის, გლეხებისთვის.—შენ რით იცი, რომ მე კაი კაცი ვარ? იქნება მე პირველი ბოროტი, მოსარიდი კაცი ვიყო; ჩემთან ნალაპარაკები, რომ ვინმემ შეგნიშნოს, ჩემს მეგობრად ჩაგთვლის... და მახეში გაებმები.—შენ, ძმობილო, გეტყობა, ძალიან ხუმარა კაცი ყოფილხარ,—უთხრა გლეხმა,—მაინც, თუ ღმერთი გწამს, მითხარი—ვინა ხარ, სადაური ხარ? ის ქალი ვინ იყო, შენ რად გამოგაცილა? ცოლი ხომ არ იყო?—ყმაწვილმა ხმა არ გასცა, ადგა იქიდგან და სხვა ალაგას გადაჯდა.—უჰ, რა უმგზავსი ყოფილა!.. ერთი ვიღაც ლატაკია და ესე ამაყად, უკადრისად კი უჭირავს თავი,—წაიდუდუნა გლეხმა, თითქო ხელმწიფეაო.—ემაგას ეგრე ნუკი უყურებთ, რა ვუყოთ, რომ დაძონძილი ტანისამოსი აცვია!.. მაგას ერთი მილიონი მაინც ექნება უბეში,—წამოიძახა მეორე გლეხმა, და გააბეს ამ ყმაწვილზედ ლაზღანდარობა და დაცინვა.

ყმაწვილი კაცი სრულებითაც ყურს არ უგდებდა მათ ლაპარაკს, ღრმად ჩაფიქრებული იჯდა და დასცქეროდა იატაკს.—«მითომ ვინა გგონიათ ეგ ყმაწვილი?—წამოიძახა მათ შორის მჯდომმა კაცმა, რომელსაც ზედ ეტყობოდა, რომ ის უნდა ყოფილიყო ან მედუქნე, ან სხვა სოფლის-ყლაპია,—ეგ ჩვენებური დიაკვნის შვილია; პეტერბურგში ნამყოფია და იქაური სულიც მიტომ ასდის... მაგაზედ ლაპარაკი არც კი ღირს... ნეტავი ქვეყანაზედ როგორი-ღა დადის! საწყალ მოხუცს მამას თავი მოსჭრა მთელ ჩვენ მაზრაში».

ვაგონის ხალხი გულმოდგინეთ ყურს უგდებდა ამ კაცს, მაგრამ ცალი თვალით კი ყმაწვილ-კაცს უცქეროდენ. ამ კაცის ლაპარაკი ყმაწვილსაც წმინდად ესმოდა. ის ეხლა სრულებით გამოიცვალა: სიბრაზით გული უსუსტდებოდა, სახეზედ ალმური ასდიოდა, ბოლოს საშინლად გაყვითლდა და წარმოსთქვა ნელის და ტკბილის ხმით ეს სიტყვები: «გესმის, ძმობილო, გაიგონე, შენ როგორ შეგიძლიან ილაპარაკო იმ კაცზედ, რომელსაც სრულებით ვერ იცნობ? შენ არაფრის დამტკიცება არ შეგიძლიან და მე კი ამოდენა საზოგადოებაში მარცხვენ... ჩემ სიცოცხლეში მე შენ პირველად გხედამ და არცკი მაცლი, რომ ერთი ვერსი თავისუფლად გავიარო. გგონია, ეს ადვილი ასატანია?» ხალხმა გაშტერებული დაუწყო ცქერა, და უკვირდა მისი აღელვებული სახე.«—მართალს ამბობს, ვის შეუძლიან კაცის გული გაიგოს,—თავი დაანებეთ, რას ჩააცივდით», წაიდუდუნეს აქეთ-იქით. რა ყურს უგდებთ მაგ ქრისტეს-გამყიდველს: შეარცხვინა მოხუცი მამა, თავი მოსჭრა საქვეყნოდ, წაპილწა მთელი მაზრა და ეხლა აქ თავს იკატუნებს!.. ეს როგორ შემოუშვეს აქა, ესა!—ყვიროდა დიდის ხმით ქვეყნის-ყლაპია.—«შენ, ჩემო ძმაო, ვინ მოგცა მაგდენი თავისუფლება, რომ განუწყვეტლივ ამ კაცზედ ლაპარაკობ? რატომ თავს არ დაანებებ, რატომ არ ჩამოეხსნები,—შესძახა ვიღაც ხანში-შესულმა და სუფთად ჩაცმულმა კაცმა. ბილეთი აგილია, ჩამჯდარხარ ვაგონში, ჰკვიანად იყავი... ვინ იცის, თვით შენ როგორი-ღა ბძანდები?! რატომ გამოძიებაში არავინ შედის, შენ რომ ეგრე ჰკიცხავ სხვას?»

ყმაწვილმა შეხედა ამ თავის მოსარჩლეს და თვალებმა უცებ გაუელვა. ეს მრისხანედ შეხედვა და თვალების ელვარება ამ დარბაისელ კაცის დანახვის დროს ამ ყმაწვილისაგან პირველი არ იყო... ამ მღელვარებაში იხატებოდა რაღაც შურისგების სურვილი, გაბოროტება და დაუნდობლობა. ეს დარბაისელი კაცი დიდი-ხნის ნაცნობი იყო ამ ყმაწვილისა და ერთ დროს იმის პირველ მტრათაც ირიცხებოდა.—«მეტყობა, შენც მაგის დასტის კაცი ყოფილხარ,—წაიბუტბუტა სოფლის-ყლაპიამ, გააბა ისევ ლაპარაკი და მსმენელებიც ბლომად იშოვა. როდესაც ლაპარაკი გაათავა, ყველანი თავთავიანთ ალაგას დასხდენ; დიდხანობამდის ამ ყმაწვილისთვის თვალი არ მოუშორებიათ: როგორღაც გაგულისებით, შიშით, ცნობის-მოყვარეობით შესცქეროდენ მას. თუმცა ყმაწვილმა კარგად იცოდა, რომ ეს ბასი მის პიროვნებაზედ იყო მიქცეული, მაგრამ ყურადღებაც არ მიუქცევია. მიიფარა პირზედ ხელები, ჩაღუნა თავი და რამდენიმე სტანცია გაიარა ისე ღრმად ჩაფიქრებულმა. აი ორთქლით-მავალი მივიდა ერთ სტანციაში, სადაც თხუთმეტი წამი ჩერდება. ყმაწვილი კაცი ჩამოხტა, შევიდა ბუფეტში, ამოიღო ჯიბიდგან დაჭმუჭნული მანეთი, დააგდო დახლზედ და რამდენიმე სტაქანი ოტკა ზედი-ზედ უსვენებლივ გადაჰკრა. «არ გეყოთ?»—წამოიძახა გაოცებით ბუფეტჩიკმა. კარგი...საკმარისია...მეტი აღარ მინდა...მშვიდობით...ლუღლუღებდა იგი გამოურკვეველად და მოშორდა ბუფეტჩიკს.—ე, ხურდა წაიღე, ხურდა!.. მოვლენ, გატყვრებიან, თავზედისას ვეღარას გაიგებენ, ბოლოს დაიწყებენ ჩივილს და ერთ უსიამოვნობას მოგვა-

ტუმნიდამ, რომ იქ 6-ს ნოემბერს თოვლი მოსულა.

—

† ამ დღეებში გარდაიცვალა გასუთს, ს. ენისელში, თავადი დიმიტრი დავითის-ძე ჯორჯაძე, წევრი კავკასიის მთავარ სამმართველოსი და თავმჯდომარე კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა. განსვენებულმა თავის სამსახური სრულიად მცირე ადგილიდამ დაიწყო და მასუკან თუმცა შესანიშნავი ადგილიც ეჭირა და საზოგადოებისაგან დიდი პატივისცემაც დაიმსახურა, მაგრამ სიამაყე და ამპარტავნობა თავის დღეში მის გულს არ მიჰკარებია და მისი კარი ყოველთვის ღია იყო ღარიბთა და გაჭირვებულთათვის. ყველას ახსოვს, როგორის მონაწილეობით და თანაგრძნობით ეპყრობოდა განსვენებული ყველას, ვინც კი ან რჩევისათვის, ან შემწეობისათვის მიმართავდა მას. არავითარი საქველ-მოქმედო საქმე ისე არ ჩაივლიდა, რომ მას თავის შეძლების კვალობაზედ უფრო მომეტებულად ხელი არ მოემართა განსვენებულს არც ერთს საქმეში უარის თქმა არ ეხერხებოდა და გინდეც ეს გულ-კეთილობა იყო მიზეზი, რომ დიდი ვალი დაატყდა თავს, თუმცა უკანასკნელ დროს მთავრობისაგან შემწეობა არ აკლდა.

## უცხოეთი

—

— გაზეთებში ვკითხულობთ, რომ ოქტომბრის 28-ს (9 ნოემბერ ახ. სტ.) გილდ-გალლში ლორდ-მერს ჩვეულებრივი წლიური ნადიმი ჰქონია გამართული და ამ ნადიმზე, სხვათა შორის, საფრანგეთის ელჩი ვადდინგტონიც დასწრებია. როდესაც სხვა სახელმწიფოთა ელჩებმა სადღეგრძელო დალიეს, ვადდინგტონმა დაახლოვებით შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა: «მე ვიკისრე საფრანგეთის ელჩობა ლონდონში იმისათვის, რომ ევროპის მშვიდობიანობისთვის იმაზე უკეთესი თავდებობა აღარ შეიძლება, როგორიც არის გულწრფელი მეგობრობა ინგლისისა საფრანგეთისადმი; ამ ორს სახელმწიფოს ბევრი მიზეზი აქვს, რომ ისე მეგობრულად იყვნენ ერთმანეთთან, როგორც ყოფილან თითქმის 75 წლის განმავლობაში; ეს მიზეზი არის შინაური და გარეშე საქმეთა პოლიტიკა». შემდეგ ვადდინგტონმა ახსნა საფრანგეთის გარეშე საქმეთა პოლიტიკის აზრი და სთქვა, რომ საფრანგეთს მალადობის ხმარება არასოდეს არ სურებია; მისს პოლიტიკას მშვიდობიანობა სურს, იმას უნდა მხოლოდ შეძლებისამებრ დაიცვას თვისი სამფლობელონი და სხვა არაფერს არ ფიქრობს ისაო. «მაშასადამე-განაგრძო საფრანგეთის ელჩმა,—ჩემი მისია ლონდონში არის განსაკუთრებით მშვიდობიანობის მიმდევარი. ორთა დიდთა სახელმწიფოთა შორის ყოველთვის შეიძლება პატარა-რამ უკმაყოფილება მოხდეს, და მე სწორედ ამ უკმაყოფილების განსარჩენებლად ვარ გამოგზავნილი, როგორათაც მშვიდობის მახარობელი. მე სწორედ ამ გვარად ვიმოქმედებ, თვით საფრანგეთის მმართებლობაც ამ გზას ადგას, და, რამოდენაც მე ვიცი, ინგლისის აზრიც სწორედ ეს არისო». როდესაც ვადდინგტონმა დაასრულა თავისი სიტყვა, გლადსტონი მიუბრუნდა მას და სთხოვა—ნება მიბოძეთ მე განვაგრძო სიტყვაო. ეს სიტყვები იქ მყოფთ დიდის აღტაცებით და ტაშისკვრით მიიღეს, რომლის შემდეგაც გლადსტონმა დაიწყო ლაპარაკი და ის აზრი გამოსთქვა, რომ საფრანგეთი მონარხია იქნება, თუ რესპუბლიკა—სულ ერთია, თუ ის მშვიდობიანს გზაზე იდგება, ინგლისი ყოველთვის თავის ერთგულ მოკავშირეთ ეგულებოდეს მასო. მადაგასკარის საქმის შესახებ მორიგებას, გლადსტონის სიტყვით, არავითარი დაბრკოლება არ შეხვდრია, და ამ საქმემ არამცთუ არ მოშალა ამ ორთა სახელმწიფოთა შორის მეგობრული განწყობილობა, არამედ უფრო განამტკიცა და გაამლიერა იგიო. შემდეგ გლადსტონი გადავიდა ეგვიპტის დროებით ჯარით დაჭერაზე და სთქვა, რომ ეგვიპტეში საქმე ეხლა კარგად მიდის და ამისათვის მმართებლობამ გადასწყვიტა ერთი ნაწილი ჯარისა გამოიყვანოს იქიდამ და ამაზე განკარგულებაც უკვე მოახდინაო. კაირიდამაც გამოჰყავს ინგლისს ჯარიო და ამით უმტკიცებს ევროპას თავის უანგარო პოლიტიკასაო. ეგვიპტეს შეუძლიან ეხლა განაგრძოს ინგლისისაგან დაწყებული საქმე განათლებისა და წარმატებისაო. ბოლოს გლადსტონმა სთქვა, რომ ინგლისს ყოველთვის სურდა და ეხლაც სურს ევროპის მშვიდობიანობა; სხვა სახელმწიფოთაც ერთხმივ და გულ-წრფელად გამოაცხადეს ეს სურვილი და მშვიდობიანობის დაცვა თავის პოლიტიკის საგნად აღიარესო. ბერლინის ტრაქტატი შეადგენს ევროპის კანონმდებლობის ერთს უძლიერესს ნაწილს,—ინგლისიც ცდილობს დაიცვას ისა; იმედია, რომ ბალკანის ნახევარ-კუნძულის სახელმწიფონიც მიჰყვებიან დიდთა სახელმწიფოთა მაგალითსაო. გლადსტონმა შემდეგი სიტყვებით გაათავა ლაპარაკი: «მკვიდრი და საუკუნო კავშირი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველანი პირ-უთნებლად და სამართლიანად ვიმოქმედებთ ყოველი ხალხის შესახებ».

— სტამბოლიდგან მოსული ამბებიდგან ვტყობილობთ, რომ სულთანი უკმაყოფილოდ დარჩენილა მუხთარ-ფაშის მინდობილობის და ბისმარკთან და კალნოკისთან მოლაპარაკების თაობაზედ. ამ უკმაყოფილების გავლენა იქაურს გაზეთებსაც დასტყობია: იმათაც ამ ბოლოს დროს ისევ დაუწყიათ ლაპარაკი, რომ ოსმალეთის საკუთარი სიკეთისთვის და კეთილ-დღეობისთვის საჭიროა, მმართებ-

---

ყენებენ ხოლმე. ე, ხურდა წაიღე. ხურდა და მაშინ ღაილუპე ჯანაბას!.. საჭირო არ არის ხურდა,—შეჰყვირა ყმაწვილმა კაცმა და უკან არცკი მიიხედა...

— გაჭირებულ ხალხს, გლახებს დაურიგე... ის ღარბაისელი კაცი, რომელიც მას გამოესარჩლა, თავის ქნევით ელაპარაკებოდა ჟანდარმს ამ ყმაწვილ კაცზედ. ჟანდარმი მიჰყვა მის ფეხის კვალს, მაგრამ ყმაწვილი კაცი ხალხში მიიმალა. ჟანდარმმა თვალი ველარ მოჰკრა, დაათვალიერა ყველა ვაგონები, მაგრამ ვერსად ნახა. ორთქლით-მავალი დაიძრა, მგზავრებმაც შენიშნეს იმ ყმაწვილი კაცის მოშორება, მათ ეგონათ, თუ იგი სხვა ვაგონში გადაჯდა. ორთქლით-მავალს ჯერ ორი ვერსტიც არ გაევლო სტანციიდგან, რომ უცებ მოისმა კონდუქტორების სტვენა, შემდეგ რაღაც ტკაცი-ტკუცი, გრგვინვა, ხრიანცელი, და უცებ ვაგონებიც გაჩერდენ.—შეშინებული მგზავრები გადმოცვივდნენ ვაგონებიდგან, მათ ეგონათ, ორთქლი-მავალის თვლები რელსებს მოშორდაო.

შეიქნა ერთი ალიაქოთი. შორიდგან შენიშნეს, რაღაც მოწითანო, რომელიც რკინის გზის რელსებზედ ელვარებდა. ჩოჩქოლში ისმოდა გამოურკვეველი ხმები: გზაზედ იდგა!.. ძალიან გადავარდა ვაგონების ქვეშ!.. ვერ დააყენეს... და სხ... რელსები, ვაგონის წინა თვლები და რკინის გზის ხეები გალესილი იყო ახალი, ჯერ კიდევ ცხელი სისხლით. ვაგონების თვლებიდგან გამოათრიეს შავი რაღაც, რომელიც სისხლში იყო გათხუპნული; ცალკე მოჰქონდათ პატარა რაღაც მრგვალი, სისხლში მოსვრილი, რომლის ცნობა ძნელი იყო.—«ოხ, ღმერთო, ეს ხომ თავია!»—წამოიძახა ზარ-დაცემულმა ხალხმა.—ეს იმ ყმაწვილს ჰგავს, ჩვენთან რომ მოდიოდა ვაგონში!.. წამოიძახა მეორემ.

— ის არის!!. აი იმის პერანგი... პალტოც... სწორედ ის არის!.. დაუწყეს ერთმანეთს კითხვა... ბაასი... შეიტყეს, თუ ვინ იყო, სადაური იყო... «ოჰ ზეციერო მამაო, აი, სადამდის მიაღწევს ადამიანი!»—წუწუნებდა ერთი ბებერი დედა-კაცი.—იმიტომ მოუვიდა, რომ დედ-მამის ურჩი იყო!

— რას ამბობთ!.. ეგ სრულებითაც დამნაშავე არ არის, არც სულით, არც ხორცით... ჰყვიროდა იმ ყმაწვილის მოსარჩლე კაცი,—თქვენ გადააგდეთ, თქვენ მოკალით თქვენი ჭორიკანაობით.

— რა გინდათ, თავის გზას დაადგა... ძაღლი იყო და ძაღლურათაც ამოუვიდა სული,—წამოიძახა ქვეყნისყლაპიამ... მაგრამ, თქვენ რომ ეგრე ერთგულად ესარჩლებით, არ შეიძლება გაგვაგებინოთ, თქვენ თვითონ ვინა ბძანდებით?—ერთი შეგვატყობინეთ, ვინა ხართ? რა კაცი ხართ, ჰა, ჰა!!.

— გულით გინდა შეიტყო, მე ვინა ვარ?—მე ვარ გამომძიებელი ნე—კის სასამართლოსი,—მე გამოვიძიე მაგ კაცის საქმე და ჭეშმარიტად დავრწმუნდი, რომ ეგ კაცი არ იყო დამნაშავე,—უცნაური ცილი მოუგონეს—ტყუილად დასწვეს ცეცხლში... მაგაზედ გავრცელებული ხმები სულ ტყუილი გამოდგა...

გამომძიებელი მსწრაფლად გაბრუნდა და შევარდა ვაგონში. ყველამ ცხადად შენიშნა ამ კაცის აღელვებული მდგომარეობა და მისი ბუტბუტი: ოხ, რა უბედურებაა!.. რა საშინელებაა!.. რას იზამს, ნეტა, ის უბედური მოხუცი მამა?.. და?.. დავიჯერო, მე აქ დამნაშავე ვარ?.. რა ვქნა, მე რა შუაში უნდა ვიყო?!. ოჰ, რა გაფრთხილებული უნდა იყოს კაცი!.. როგორი წინ-დახედულობა მართებს ყოველს გამომძიებელს სხვა-და-სხვა გვარ საქმის გაჩხრეკაში და დატუსაღებაში!!. ვინ იცის, რამდენი სული იტანჯვის ცილის-წამებით, წინადვე ციხეში დატუსაღებით! ვინ იცის რამდენი ესე უმანკო მსხვერპლია ჭორიკანაობით, ენატანიაობით დაღუპული!..

როდესაც ორთქლით-მავალი დაიძრა, გამომძიებელს მიუახლოვდა ერთი კარგად ჩაცმული კაცი, რომელმაც ამას წინათ რამდენიმე გაზეთი უთავაზა მას წასაკითხად და დაუწყო ლაპარაკი:—როგორც გეტყობათ, თქვენ ვრცლად უნდა იცოდეთ ამ უბედური ყმაწვილი კაცის გარემოება?—არ შეიძლება, გამაგებინოთ მისი ისტორია?..

— ამ ყმაწვილი კაცის ისტორია მე შემიძლიან მოკლედ მოგახსენოთ: ეს იყო სტუდენტი პეტ—ის უნივერსიტეტისა, ღარიბი დედ-მამის შვილი... ამ ზაფხულს მოვიდა თავის მამასთან... აქ ერთ აზნაურის შვილებს ასწავლიდა... ამ აზნაურმა დაჰკარგა ბლომად ფულები ყუთიდგან, როდესაც შინ არავინ იყო, გარდა ამ ყმაწვილი კაცისა. ეჭვი იმ წამს მაგაზედ აიღეს... მე გავარჩიე საქმე... დავამწყვდიე ციხეში... შემდეგ იძულებული ვიყავი, გამენთავისუფლებინა, რადგან გასამტყუნარი საბუთები ცრუ ფაქტებზედ იყო აშენებული... მაგრამ რაკი ერთხელ ლაქი დაესვა მას, საზოგადოებამ განდევნა იგი, გული ამოირეცხა და ვერ ურიგდებოდა... წარმოიდგინეთ თქვენ, მე სწორედ ეხლა მოვდივარ სოფელ მი—შვ—დგან, სადაც ნამდვილი ქურდი აღმოჩნდა... რომელსაც მთლად ის დაკარგული ფულები გამოაჩნდა და თვითონაც აღიარა თავისი დანაშაულობა... გამომძიებელმა მწარედ ამოიოხრა და ხელები პირზედ მიიფარა.—ეხლა იმ მოხუცებულს ერთიღა ნუგეში ის დარჩება, რომ მისი შვილი დამნაშავე არ იყო... გამართლდა, მართალი სული ტყუილად სტანჯეს!..—უთხრა მოსაუბრემ. გამომძიებელმა პასუხი არ მისცა: ამას თვალწინ ეხატებოდა დამწვარ-დაჩაგრული მოხუცი მამის და თვალ-ცრემლიანი ახალგაზდა ქალის სახე...

სოსო ტანისხეველი.

24 სექტემბერს.

ლობამ ისევ უწინდელს პოლიტიკას მიმართოსო, ე. ი. ისევ საფრანგეთს და ინგლისს დაუახლოვდესო. — როდესაც მუხთარ-ფაშა ბერლინში იმყოფებოდა, გაზეთებმა გაატარეს ის აზრი, ვითომც მუხთარ-ფაშას მინდობილი ჰქონდეს გერმანიასთან კავშირის შეკვრა რუსეთის წინააღმდეგ და ამასთანავე თხოვნა გერმანიის კანცლერისადმი, რომ მან შემწეობა გაუწიოს და დაახსნევინოს ოსმალეთს თავი ინგლისის შევიწროებისაგან. გაზეთების სიტყვით, პირველი წინადადება შესახებ რუსეთისა ბისმარკმა სიამოვნებით მიიღო, მაგრამ მეორე წინადადებაზედ კი ბერლინშიაც და ვენაშიც უარი უთხრეს, და ამის გამო სულთანმა ვეღარ იკადრა იმ კილოთი ლაპარაკი, რა კილოთიც აპირობდა ინგლისის შესახებ ლაპარაკს, თუ ბისმარკი დათანხმდებოდა იმის წინადადებაზე, და იმისგამო, მეტი გზა აღარ იყო, ისევ უნდა მიემართა თავის უწინდელი მეგობრებისთვის.

— ჩეხიაში და მორავიაში ამ ჟამად გაცხარებული მოძრაობაა ყოველს საზოგადო საქმეში სკოლებში, კრებებზე, სამჯავროებში და სხვა საზოგადო დაწესებულებებში. ნემცები მართავენ ნემეცურს სკოლებს ჩეხიის მაზრებში, და ჩეხებიც თავის მხრივ გაცხარებული ხსნიან ჩეხურს სკოლებს ჩეხიის, მორავიის და სილეზიის მაზრებში, რომელნიც ნემცების სამფლობელოში იმყოფებიან; იმათ ამ მოკლე ხანში, სხვათა შორის, გიმნაზიებიც დააარსეს ქალაქს ოპავში და სილეზიაში.

— მადრიდიდამ იწერებიან, რომ პორტუგალიაში და ესპანიაში რევოლიუციური პროპაგანდა მეტის-მეტად ძლიერდება.


# განცხადებანი

## ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| — — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— ,, | — — 3— ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრავოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი — სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდის საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—66)

კავკასიის აქეთა მხრის გზის გამგეობა.

იწვევს მათ, ვინც ისურვებს შეშის იჯარით აღებას ამ გზის სტანციებისთვის თბილისიდამ მოყოლებული ბაქომდენ. სთხოვენ, შეშის ფასებზე და იჯარის პირობებზე განცხადებანი გამოგზავნონ გზის გამგეობაში, მატერიალური სამსახურის უფროსის სახელზე. (6—4)

ИНГЛИСУРИ РКИНИС КРАВОТЕБИ

ინგლისური რკინის კრავოტები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაისა და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფაინოსი, დასადგმელი, პირისსაბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწურავები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშეები, თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის საფხეკები, უნაგირები კაცისა და ქალისა, აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბავო მაკრატლები, კაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიჟები, ზარიადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნაჩბები, კატერპრუფები, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, [illegible]ისთვის რგოლები, ქმალ[illegible] [illegible] მუჯა-ბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიკიტონები და სხ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—20)

სასტუმრო (გოსტინიცა)

## „იტალია“

ნიკოლაევის ქუჩაზე, ვორონცოვის ძეგლის (პამიატნიკის) მახლობლად ჩემს საკუთარს სახლში.

ნომრები მშვენივრად მორთულია ელექტრიულის დასარეკის ზარით და მარდი მოსამსახურეებით. სასტუმროსა აქვს ბუფეტი. ფასი ნომრებისა, საჭმელებისა კარტით და სასმელებისა ნაკლებია.

სასტუმროს პატრონი ბ. სარქისოვი. (30—29)

ინგლისის მაღაზიაში



თმის-ამომყვანი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—67)

მაკ-მასტერი

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სიროტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.


მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდე 1883 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსთის ფქვილისა — | —1 | გირ. | 5 კ. |
| აჭაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა — | —1 | გ. | 3 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | 5 კ. |
| მეორისა — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა — | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| ჯვარის-მამის პური: | | | |
| პირველის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 5 კ. |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა — | —1 | გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორის — | —1 | გ. | 7 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 7 კ. |
| ღორის ღორცი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | 10 კ. |
| მეორის — | —1 | გ. | 9 კ. |

# რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით.
თბილისიდამ ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
11 საათზედ და 11 წამ. ღამისა.
ბაქოდგან თბილისისკენ
10 საათზედ და 23 წამ. დილისა.
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილისა.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილისა.
ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
7 საათ. და 49 წამ. დილისა.


## СЪ 1-го ЯНВАРЯ 1884 ГОДА

ВЪ ТИФЛИСѢ БУДЕТЪ ИЗДАВАТЬСЯ

НОВАЯ ЕЖЕДНЕВНАЯ (350 НУМЕРОВЪ ВЪ ГОДЪ) ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКАЯ

# ГАЗЕТА

# „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

подъ редакціею А. В. СТЕПАНОВА (бывш. редакторъ «Юрид. Обозр.»)

Объемъ газеты — печатный листъ средняго формата; программа — общая всѣмъ литературно-политическимъ ежедневнымъ изданіямъ.

Подписная цѣна съ пересылкою и доставкою: на годъ — 10 руб.; на 6 мѣс. — 6 р., на 3 мѣс. — 3 р. 50 к., на 1 мѣс. — 1 р. 50 к.

Подписка (городская и иногородная) и объявленія (по 5 коп. за строку петита) принимаются въ Тифлисѣ исключительно въ Газетномъ Агентствѣ В. Шавердова; въ С.-Петербургѣ же и Москвѣ — въ книжныхъ магазинахъ «Новаго Времени».

Временное (до 15-го декабря) помѣщеніе редакціи: Давидовская ул., д. Кананова, квартира редактора.

За газетой обезпечено постоянное сотрудничество: кн. К. А. Бебутова, Вс. М. Гаршина, П. А. Измайлова, С. Н. Кривенко, Н. Я. Николадзе, П. А. Опочинина, А. Н. Плещеева, И. Ф. Тхоржевскаго, Гл. И. Успенскаго, Н. А. Шаврова. (20—5)


Дозв. ценз. Тифлисъ, 10 Ноября 1883 г. ექ. ხელაძის სტამბა. (Типографія Е. Хеладзе.) გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.